



კლასი



2017 წ. საგაზაფხულო სეზონი  
დამატებითი ტური

სახელი, გვარი, ტელეფონი .....

სკოლა .....

მათემატიკის მასწავლებელი .....

1) 2 ერთნაირი საზამთრო 26 კილოგრამს იწონის. 1 ნესვი კი – 7 კილოგრამს.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რას იწონის 2 ერთნაირი საზამთრო?

1) 26 კილოგრამს

2) 13 კილოგრამს

3) 7 კილოგრამს



ბ) რას იწონის 1 ნესვი?

1) 26 კილოგრამს

2) 13 კილოგრამს

3) 7 კილოგრამს



გ) რას იწონის 3 ერთნაირი საზამთრო და 1 ნესვი ერთად?

1) 39 კილოგრამს

2) 46 კილოგრამს

3) 60 კილოგრამს

2) მასწავლებელმა დაფაზე დაწერა რიცხვი სამი მილიონ სამი ათას სამი.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენი ცალი სამიანია მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი რიცხვის ჩანაწერში?

1) 6 ცალი

2) 4 ცალი

3) 3 ცალი



ბ) რამდენი ცალი ნულია მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი რიცხვის ჩანაწერში?

1) 4 ცალი

2) 5 ცალი

3) 6 ცალი



გ) მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი რიცხვის ჩანაწერში რომელი უფრო მეტია, სამიანი თუ ნული?

1) სამიანი

2) ნული

3) თანაბრად

3) 4 კილოგრამი ვაშლი და 4 კილოგრამი მსხალი ერთად 17 ლარი ღირს. 1 კილოგრამი ვაშლი 2 ლარი და 50 თეთრი ღირს.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რა ღირს 4 კილოგრამი ვაშლი და 4 კილოგრამი მსხალი ერთად?

1) 17 ლარი

2) 10 ლარი

3) 7 ლარი



ბ) რა ღირს 1 კილოგრამი ვაშლი?

1) 10 ლარი

2) 9 ლარი

3) 2 ლარი და 50 თეთრი



გ) რა ღირს 1 კილოგრამი ვაშლი და 1 კილოგრამი მსხალი ერთად?

1) 4 ლარი და 75 თეთრი

2) 4 ლარი და 50 თეთრი

3) 4 ლარი და 25 თეთრი

4) ვანო წიგნს კითხულობდა 20 წუთის განმავლობაში. იგი ყოველ წუთში 45 სიტყვას კითხულობდა.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენი წუთი კითხულობდა ვანო წიგნს?

1) 20 წუთი

2) 45 წუთი

3) 1 წუთი



ბ) რამდენ სიტყვას კითხულობდა ვანო ყოველ წუთში?

1) 20 სიტყვას

2) 45 სიტყვას

3) 900 სიტყვას



გ) რამდენ სიტყვას წაიკითხავდა ვანო 20 წუთში?

1) 45 სიტყვას

2) 450 სიტყვას

3) 900 სიტყვას

5) მაღაზიაში იყიდება ორბორბლიანი, სამბორბლიანი და ოთხბორბლიანი ველოსიპედები, სულ 12 ცალი. მათგან ნახევარი ორბორბლიანია, სამი კი სამბორბლიანი.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) სულ რამდენი ველოსიპედი იყიდება მაღაზიაში?

1) 3 ველოსიპედი

2) 6 ველოსიპედი

3) 12 ველოსიპედი



ბ) რამდენი ბორბალი აქვს ყველა სამბორბლიან და ოთხბორბლიან ველოსიპედს ერთად?

1) 12 ბორბალი

2) 21 ბორბალი

3) 33 ბორბალი



გ) რამდენი ბორბალი აქვს ყველა ველოსიპედს ერთად?

1) 12 ბორბალი

2) 21 ბორბალი

3) 33 ბორბალი

6) მასწავლებელმა დაასახელა უდიდესი ორნიშნა ლუწი რიცხვი. მოსწავლემ კი გაანახევრა მასწავლებლის მიერ დასახელებული რიცხვი.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რა რიცხვი დაასახელა მასწავლებელმა?

1) 98

2) 99

3) 100



ბ) რა რიცხვი მიიღო მოსწავლემ?

1) 50

2) 49

3) 44



გ) რა რიცხვს მიიღებდა მოსწავლე მასწავლებლის დასახელებული რიცხვი რომ გაეორმაგებინა?


1) 200-ს


2) 198-ს


3) 196-ს


7) საზამთრო და ოთხკილოგრამიანი ნესვი ერთად იმდენივეს იწონის, რამდენსაც ორკილოგრამიანი კომბოსტო და მასზე ოთხჯერ უფრო მძიმე გოგრა.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

 ა) რას იწონის ნესვი?  
1) **4 კილოგრამს**      2) 6 კილოგრამს      3) 8 კილოგრამს


 ბ) რას იწონის კომბოსტო?  
1) **2 კილოგრამს**      2) 4 კილოგრამს      3) 6 კილოგრამს


 გ) რას იწონის გოგრა?  
1) 4 კილოგრამს      2) 6 კილოგრამს      3) **8 კილოგრამს**


 დ) რას იწონის საზამთრო?  
1) 4 კილოგრამს      2) **6 კილოგრამს**      3) 8 კილოგრამს


8) თემოს მხოლოდ ორლარიანი მონეტა ჰქონდა, რომელიც 50-თეთრიანი და 10-თეთრიანი მონეტებად დაახურდავა. შემდეგ კი ყველა 10-თეთრიანი მონეტა 5-თეთრიანი მონეტებად დაახურდავა, რის შედეგადაც მას 13 მონეტა გაუხდა.


პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

 ა) რამდენი ლარი ჰქონდა თემოს?  
1) 1 ლარი      2) **2 ლარი**      3) 10 ლარი


 ბ) რამდენთეთრიანი მონეტებად დაახურდავა თემომ ორლარიანი მონეტა?  
1) 50-თეთრიანებად      2) 10-თეთრიანებად      3) **50-თეთრიანებად და 10-თეთრიანებად**

 გ) რამდენ 5-თეთრიანი მონეტას მიიღებდა თემო 1 ცალი 10-თეთრიანი მონეტის დახურდავებისას?  
1) ათს      2) ოთხს      3) **ორს**

 დ) რამდენი 10-თეთრიანი მონეტა მიიღო თემომ ფულის დახურდავებისას?  
1) **5**      2) 7      3) 10

 9) შარვალის ფასი პირველად სააღდგომო ფასდაკლებისას შემცირდა და მისი ფასი 120 ლარი გახდა. შემდეგ შარვალი კიდევ 15 ლარით გაიაფდა. რამდენი უნდა გადაგვეხადა 2 ცალ შარვალში აღდგომამდე, თუ მეორედ გაიაფების შემდეგ შარვლის ფასი საწყის ფასთან შედარებით 75 ლარით შემცირდა?

1) 180 ლარი      2) 210 ლარი      3) **360 ლარი**

 10) თავდაპირველად მართკუთხედი გაყვეს ორ ტოლ კვადრატად. ამის შემდეგ თითოეული კვადრატი გაყვეს 4 ტოლ პატარა კვადრატად. რამდენი პატარა კვადრატი უნდა გავაფერადოთ, რომ გაფერადებული იყოს თავდაპირველი მართკუთხედის ნახევარი?

1) ერთი      2) ორი      3) **ოთხი**